მიგრაციის დოკუმენტი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (MOH) ინფრასტრუქტურიდან სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს (DGA) ინფრასტრუქტურაში მომხმარებლების IT სერვისების მიგრაციის დოკუმენტი

14 სექტემბერი 2020 წელი

ვერსია 1.0

კომპონენტები:

დოკუმენტის ისტორია	3
მიგრაციის გავრცელების სფეროს მიმოხილვა	3
მოსამზადებელი სამუშაოები	3
მომხმარებლების მონაცემთა რეზერვირება/სკანირება	4
მიგრაციის პროცესი	4
მომხმარებლების საჭირო წვდომების უზრუნველყოფა შიდა მოხმარების სერვისებზე	5
სერვისების ტესტირება	5
მიგრაციის შეჯამება	6

დოკუმენტის ისტორია

ვერსია	ვერსიის თარიღი	ცვლილების აღწერა	ავტორი
1.0	14.09.2020	დოკუმენტის ინიცირება	DGA

მიგრაციის გავრცელების სფეროს მიმოხილვა

მიგრაციის მიზანია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (MOH) ინფრასტრუქტურიდან სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს (DGA) ინფრასტრუქტურაში მომხმარებლის მიგრაციისთვის საჭირო პროცესების აღწერას

მიგრაციის ფარგლებში მოხდება MOH-ის სათავო ოფისში მომუშავე მომხმარებლების სამუშაო ანგარიშებისა და მონაცემების გადმოტანა და მათი შეუფერხებელი მუშაობისთვის საჭირო შემდეგი კომპონენტების გამართვა DGA-ს ინფრასტრუქტურაში.

- ქსელური კავშირის გამართვა
- Active Directory-ს გამართვა
- Microsoft Exchange გამართვა
- Microsoft Skype for Business გამართვა
- Bitdefender ცენტრალიზებული ანტივირუსის გამართვა
- Squid Proxy Server-ების გამართვა ინტერნეტთან წვდომის უზრუნველსაყოფად.

მოსამზადებელი სამუშაოები

1. მომხმარებლების აღწერა

2. მომხმარებლებისთვის საჭირო სერვისების აღწერა
3. მომხმარებლების კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების აღწერა
   - *შესაძლოა გარკვეული კომპიუტერების მიგრაცია ვერ მოხერხდეს DGA-ს ინფრასტრუქტურაში ამ კომპიუტერების არასაკმარისი ტექნიკური მახასიათებლების გამო.*
4. მომხმარებლების საჭირო წვდომების აღწერა და შესაბამისი ჯგუფების ფორმირება
5. MOH-ის მომხმარებლების ელექტრონული ფოსტის არქივის რეზერვირება .PST ფორმატში.
6. MOH-ის შენობაში ქსელური ჩართვის მოწყობის დაგეგმვა
7. DGA-ს ინფრასტრუქტურაში ქსელის მომზადება
8. DGA-ს ინფრასტრუქტურაში MOH-ის მომხარებლებისთვის საჭირო გარემოს მომზადება
9. DGA-ს ინფრასტრუქტურაში Terminal სერვერების მომზადება შესაბამისი წვდომების უზრუნველყოფით.
10. MOH-ში ლოკალურად ფაილების სკანირების ინფრასტრუქტურის მოწყობა DGA-ს თანამშრომლების მიერ.
11. MOH-ის მომხმარებლების ინფორმირება სამსახურეობრივი მონაცემების რეზერვირებასთან დაკავშირებით.

მომხმარებლების მონაცემთა რეზერვირება/სკანირება

1. MOH თანამშრომელი სამსახურეობრივი საჭიროების ფაილებს სამსახურის კომპიუტერის D-დისკზე განათავსებს საქაღალდეში (Folder), რომელსაც დაარქმევს მის სახელსა და გვარს ლათინური სიმბოლოებით.
2. MOH-ისა და DGA-ს ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის თანამშრომლები უზრუნველყოფენ ფაილების რეზერვირებას გარე მატარებლებზე

3. გარე მატარებლებზე რეზერვირებული ფაილების სკანირება მოხდება MOH-ში ლოკალურად განთავსებულ სკანირებისთვის მომზადებულ ინფრასტრუქტურაში (სერვერებზე).
4. სკანირების სერვერიდან ფაილების დაბრუნება მოხდება ქსელის გამოყენებით, თითოეული მომხმარებელი მხოლოდ საკუთარი ფაილების გადმოწერას შეძლებს კონკრეტული რესურსიდან Active Directory-ს იუზერით ავტორიზაციის შემდეგ.

მიგრაციის პროცესი

მომხმარებლების ფაილების რეზერვირება და მომხმარებლების კომპიუტერებზე ოპერაციული სისტემების ინსტალაცია მოხდება ეტაპობრივად, DGA-სა და MOH-ის ტექნიკური მხარდაჭერის თანამშრომლების მიერ, დეპარტამენტების ან თემატურად მომხმარებელთა ჯგუფების მიხედვით.

თანამშრომლებთან სამუშაოების დაწყების დრო შეთანხმდება MOH-ის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელთან მომხმარებლის სამუშაო პროცესის გათვალისწინებით.

პროცესის აღწერა:

- მომხმარებლების მონაცემთა რეზერვირების შემდეგ, მომხმარებელთა კომპიუტერებზე ძველი ოპერაციული სისტემების განულება
- კომპიუტერის გადართვა ახალ, იზოლირებულ ქსელზე და წვდომის უზრუნველყოფა DGA ინფრასტრუქტურამდე. (პერიმეტრული მოწყობილობის კონფიგურაცია მენეჯმენტს ახორციელებს DGA-ს თანამშრომელი, ხოლო ქსელურ კომუტატორებზე პორტების კონფიგურაციას შესაბამის ქსელურ სეგმენტთან წვდომისათვის უზრუნველყოფს MOH-ის თანამშრომელი)
- წვდომების უზრუნველყოფა სამსახურებრივად საჭირო პროგრამებთან და სერვისებთან.
- Windows 10-სა და საოფისე პროგრამების ინსტალაცია.

- პერიფერიული მოწყობილობების (IP ტელეფონების, მრავალფუნქციური მოწყობილობების და ა.შ) ინსტალაცია
- სტანდარტის მიხედვით შექმნილი დომეინ მომხმარებლის ჩატვირთვა კომპიუტერებზე
- მომხმარებლების შემოწმებული მონაცემების დაბრუნება კომპიუტერში

მომხმარებლების საჭირო წვდომების უზრუნველყოფა შიდა მოხმარების სერვისებზე

- WEB-სერვისებზე, სადაც მომხმარებლები ავტორიზაციას გადიან ლოკალური ანგარიშებით, MOH-ის მომხმარებლებისთვის ახალი დომეინიდან წვდომის უზრუნველყოფა მოხდება MOH-ისა და DGA-ს შორის ორი Reverse Proxy სერვერის გამოყენებით, შედეგად მომხმარებლები საჭირო WEB-სერვისებს გამოიყენებენ Browser-ის მეშვეობით.
- Web-სერვისებზე, სადაც MOH-ის მომხმარებლები ავტორიზაციას გადიან Active Directory-ს ანგარიშებით, წვდომის უზრუნველყოფა მოხდება Terminal სერვერის გამოყენებით. იმის გათვალისწინებით, რომ მომხმარებლები მიგრაციის შედეგად ისარგებლებენ ახალი დომეინით, ხოლო აპლიკაციებზე წვდომებისთვის გამოიყენებოდა მათი ძველი დომეინი, ტერმინალ სერვერი უზრუნველყოფს შეუფერხებელ ავტორიზაციას.
- Desktop-აპლიკაციებზე წვდომის უზრუნველყოფა მოხდება ასევე Terminal სერვერის გამოყენებით, რათა თავიდან ავირიდოთ აპლიკაციების ინსტალაცია მიგრირებულ კომპიუტერებზე.

სერვისების ტესტირება

მიგრაციის პროცესის თითოეული ეტაპის დასრულების შემდეგ მოხდება მიგრირებული მომხმარებლებისა და სერვისების ტესტირება.

მიგრაციის შეჯამება

მიგრაციის შედეგად, MOH-ის მომხმარებლები შეძლებენ იმუშაონ ახალი დომეინიდან, მათ კომპიუტერებზე გამართული ახალი ოპერაციული სისტემით და შემოწმებული სამსახურეობრივი ფაილებით.

მიგრირებულ მომხმარებლებს ტექნიკურ მხარდაჭერას გაუწევს სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს ტექნიკური მხარდაჭერის გუნდი, ტექნიკური დახმარების ცხელი ხაზით: 0322 405 818